№2212 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივისათვის, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისათვის, სსიპ - სმართ ლოჯიქისა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრისათვის „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისების დაშვების თაობაზე

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე,

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივს, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და სსიპ - სმართ ლოჯიქს მიეცეთ თანხმობა, რომ 2014 წლისათვის:

ა) სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 56 ერთეულით;

ბ) სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 50 ერთეულით;

გ) სსიპ - სმართ ლოჯიქის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 15 ერთეულით.

2. 2014 წლისათვის სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს არაუმეტეს 3 000 ლარით.

3. 2014 წლისათვის სსიპ - სმართ ლოჯიქის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს არაუმეტეს 2 500 ლარით.

4. 2014 წლისათვის სსიპ - დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3 800 ლარით.

5. 2014 წლისათვის სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის შტატგარეშე თანამშრომელთა საშუალო შრომის ანაზღაურება განისაზღვროს არაუმეტეს 700 ლარით.

6. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**